ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 194

18 მაისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში №01.14.10.002.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74, კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის, ილია ჭავჭავაძის გამზირი №76, კუს ტბის მიმდებარედ) არსებულ 221.97 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე (შენობა-ნაგებობა №2 - 25.94 კვ.მ; შენობანაგებობა №10 - 120.89 კვ.მ.; შენობა-ნაგებობა №13 - 75.14 კვ.მ.) ეკატერინე იოსელიანისთვის (პ/ნ. 01008011502) გადაცემული სარგებლობის უფლების (იჯარის) ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის "დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, ამასთან, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74, კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის, ილია ჭავჭავაძის გამზირი №76, კუს ტბის მიმდებარედ არსებულ 221.97 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე (შენობა-ნაგებობა №2 - 25.94 კვ.მ.; შენობა-ნაგებობა №10 - 120.89 კვ.მ; შენობა-ნაგებობა №13 - 75.14 კვ.მ.) ეკატერინე იოსელიანისთვის (პ/ნ. 01008011502) გადაცემული სარგებლობის უფლების (იჯარის) ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.552.636 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა №64-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.20.01.080.066) არსებული 863 კვ.მ და ქალაქ თბილისში, ესენინის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.19.17.008.037) არსებული 900 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, 47,784.50 (ორმოცდშვიდი ათას შვიდას ოთხმოცდაოთხი

ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარად პრივატიზებაზე, ეკატერინე იოსელიანთან (პ/ნ. 01008011502) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე